



საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45



GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

01.02.2019 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №8

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისათვის

სესხის აღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, მე-100 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 1 თებერვლის №02/1008 მომართვის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს ზუგდიდის მუნიციპალური ავტოპარკის განახლების მიზნით გრძელვადიანი სესხის აღების თაობაზე.
2. ეთხოვოს ნებართვა საქართველოს მთავრობას მუნიციპალური ავტოპარკის განახლების განსახორციელებლად არაუმეტეს 3 500 000 ლარის (სამი მილიონ ხუთასი ათასი ლარი) ოდენობით სესხის აღებასთან დაკავშირებით.
3. განკარგულების ასლი გადაეგზავნოს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას.
4. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლალიძის ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარე

*Handwritten signature*



მამუკა წოწერია